საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

N 51
27/09/2019

51-07-4-201909271627

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №51
2019 წლის 27 სექტემბერი
ქ. ლანჩხუთი

გრიგოლეთისა და ყვავილნარის განაშენიანების გეგმის შემუშავების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტის, 61–ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 43-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს გადაწყვეტილება გრიგოლეთისა და ყვავილნარის განაშენიანების გეგმის შემუშავების თაობაზე.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ვლადიმერ ნანაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო